**ბეჰემოტ-ი, ბეჰემოთ-ი,** სპილოღორი: დიდტანოვანი წვრილჩლიქიანი ძუძუმწოველთა ჯიშის ცხოველი,—ცხოვრობს ცენტრ. აფრიკის მდინარეებში; მის ხორცს სჭამენ.

**ბი-,** დაერთვის ზოგიერთ ლათინურ და ბერძნულ ტერმინებს თავში და ნიშნავს გაორკეცებას, გაორმაგებას, მაგ. **ბიგამია,** ორცოლიანობა, **ბინარული,** ორმაგი, **ბინომი,** ორწევრა და სხვა.

**ბიანდრია,** ორქმრიანობა.

**ბიბლია,** „საღვთო“ წიგნები ებრაელთა (ძველი აღთქმა) და ქრისტიანთა (ძველი და ახალი აღთქმა),—ლეგენდური, ისტორიული, დამრიგებლობითი და სხვა მრავალგვარი შინაარსისა; მეცნიერულმა კრიტიკამ გამოამჟღავნა მათში ისტორიული ფაქტების დამახინჯება, მრავალი წინააღმდეგობანი, სიყალბე, უაზრო მოძღვრებანი და უზნეო უწმაწური მოთხრობანი; დამტკიცდა აგრეთვე, რომ მათში მრავალი რამ ნასესხებია ე. წ. წარმართული წყაროებიდან.

**ბიბლიოგრაფია,** 1) წიგნთაღწერა, წიგნთმცოდნეობა: ცოდნის დარგი, რომელიც აღწერს ბეჭდურ გამოცემათა ყოველგვარ სახეს (წიგნებს, ჟურნალ-გაზეთებს და სხვ.) და განსაზღვრული წესით დაალაგებს აღწერის შედეგებს; 2) ახლად გამოსულ რაიმე ნაწარმოებთა მოკლე აღწერა ან განხილვა; 3) რაიმე საკითხის გარშემო არსებული ლიტერატურის დასახელება მოკლე აღწერითურთ.—

**ბიბლიოგრაფ-ი,** წიგნთაღმწერი.

**ბიბლიოთეკა,** წიგნთსაცავი: დაწესებულება, სადაც აგროვებენ ბეჭდურ გამოცემებს განსაზღვრული წესით, ინახავენ მათ და გასცემენ საკითხავად.

**ბიბლიომანტია,** წიგნით მისნობა,—მკითხაობა, ერთგვარი ცრუმორწმუნეობა.

**ბიბლიოფილ-ი,** წიგნთმოყვარული, წიგნთშემკრები.

**ბიგამია,** ორცოლიანობა.

**ბიდე,** საქალო პატარა აბაზანა (სასქესო ორგანოს დასაბანი).

**ბიდონ-ი,** სითხის შესანახი თუნუქის ჭურჭელი.

**ბივუაკ-ი, ბივაკ-ი,** ლაშქართსადგომი კარვებში — უმოსახლეო ადგილზე.

**ბივშტექს-ი,** ძროხისხორცის დაბეგვილი და მოხრაკული ნაჭერი.

**ბიზანტინისტ-ი,** ბიზანტიის მცოდნე და მკვლევარი.

**ბიზონ-ი,** დიდტანოვანი გარეული ხარი.

**ბილდაპარატ-ი (-აპპარატ-ი),** სურათის შორეულ მანძილზე გადამცემი მოწყობილობა.

**ბილეთ-ი,** რაიმე უფლების დამადასტურებელი წერილობითი